



14-15 სექტემბერი, 2015 წ.
ინფორმაცია მედიისთვის

საქართველოს პარლამენტი გლობალური საკანონმდებლო ღიაობის კონფერენციას მასპინძლობს

პრესრელიზი

14-15 სექტემბერს, საქართველოს პარლამენტი ღია მმართველობის პარტნიორობის საკანონმდებლო ღიაობის სამუშაო ჯგუფის (OGP LOWG) საერთაშორისო კონფერენციას უმასპინძლებს თბილისში. ორდღიანი ფორუმის - „ღიაობის ვალდებულება: პარლამენტის სამოქმედო გეგმები, სტანდარტები და მეთოდები“ მიზანია განხილულ იქნას სამუშაო ჯგუფის მიერ საკანონმდებლო ღიაობის თვალსაზრისით მიღწეული პროგრესი, მათ შორის „ღია პარლამენტის“ სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და ღია საპარლამენტო მონაცემების საერთაშორისო ნორმებისა და სტანდარტების დანერგვის ასპექტები.

საერთაშორისო კონფერენციას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები, მათ შორის, საქართველოს, ალბანეთის, სომხეთის, ხორვატიის, ბრაზილიის, ლატვიის, ლიტვის, იორდანის, მალტის, მონტენეგროს, სერბეთისა და უკრაინის მაღალი რანგის საპარლამენტო დელეგაციები დაესწრებიან. კონფერენციის მუშაობაში 20-მდე ქვეყნის 70-ზე მეტი უცხოელი დელეგატი მიიღებს მონაწილეობას.

ამავე კონფერენციის ფარგლებში დაგეგმილია, აგრეთვე, საქართველოში სტუმრად მყოფი დელეგაციების ხელმძღვანელებისა და წევრების ორმხრივი შეხვედრებიც.

საპარლამენტო ღიაობის კონფერენციის თანაორგანიზატორია საკანონმდებლო ღიაობის სამუშაო ჯგუფი. ორდღიანი სამუშაო შეხვედრა გლობალური საკანონმდებლო ღიაობის კვირეულის (GLOW) ფარგლებში იმართება და მის დასკვნით ღონისძიებას წარმოადგენს. ეს არის ერთკვირიანი მოწოდება სამოქალაქო საზოგადოებისა და პარლამენტებისადმი, რათა მათ ხელი შეუწყონ საკანონმდებლო ღიაობას.

კონფერენცია იმართება ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), გერმანიის თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაციის (GIZ), „კოჰოვოლიტის“ (KohoVolit), ევროკავშირის, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP), საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მხარდაჭერით.

კონფერენციის პროგრამა, მონაწილეთა სია და საინფორმაციო მასალები ხელმისაწვდომია პარლამენტის ვებგვერდზე: <http://www.parliament.ge/ge/gia-mmartvelobis-partniorobis-sakanonmdblob-giaobis-samushao-djgufis-konferencia>



დამატებითი ინფორმაცია

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) და ჩილეს კონგრესი თანათავმჯდომარეობას უწევენ სამუშაო ჯგუფს, რომელიც 2013 წელს შეიქმნა, რათა ღია მმართველობის პარტნიორობის ქვეყნებში ვალდებულებები გაფართოვდეს. ჩილე იყო პირველი ღია მმართველობის პარტნიორობის ქვეყანა, რომელმაც ექსკლუზიურად საკანონმდებლო დიალობაზე ფოკუსირებული დამოუკიდებელი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. ეს არის მოდელი, რომლითაც ხელმძღვანელობას სამუშაო ჯგუფი სხვა ქვეყნების პარლამენტებსაც მოუწოდებს.

საქართველო ერთ-ერთი პირველი ქვეყანაა ევროპაში, რომელიც ღია საპარლამენტო პრინციპებს შეუერთდა და ხელი შეუწყო საკანონმდებლო დიალობას ღია მმართველობის პარტნიორობის ფარგლებში. საქართველოს პარლამენტმა, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მხარდაჭერით, საპარლამენტო დიალობის დეკლარაციას ხელი 2015 წლის აპრილში მოაწერა და იმავე წლის ივლისში, ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის დახმარებით, „საქართველოს ღია პარლამენტის სამოქმედო გეგმა“ მიიღო.

საკონტაქტო პირები

საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის დეპარტამენტი
ნინო ბერაძე, დეპარტამენტის უფროსი
577-720706 | NBeradze@parliament.ge

მადონა ნოზაძე, დეპარტამენტის პრესცენტრის უფროსი
599-557978 | MNozadze@parliament.ge